# სახალხო გაზეთი

№ 319 კვირა, 5 ივნისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 319

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. ხზვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5—დან 7—მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12 ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


„სახალხო გაზეთი" (სურათებიანი დამატებით)
1 ივნისიდან წლის ბოლომდე ღირს 5 მ. 50 კ.

მწუხარებით დადაგულნი ნინა ილიას ასული ასანიძისა, ანნა პავლეს ასული მამაცაშვილისა, თამარა ილიას ასული ყიფიანისა, სოფიო ილიას ასული კნეინა ბაგრატიონ-მუხრანსკისა, გიორგი ზაალის ძე ყიფიანი და თავადი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრან ბატონი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას, პირველის—მეუღლისა, მეორეთა—სიძისა, ხოლო უკანასკნელთა ქვისლის—დეისტვიტელნი სტატსკი-სოვეტნიკის

**დიმიტრი ვასილის ძის ასანიძისა.**

ცხედარი გამოსვენებული იქნება ქ. განჯიდან ტფილისში და დაიკრძალება კუკიის სასაფლაოზე 7 ივნისს, სამშაბათს, დილის 9 საათზე.

მწუხარებით გულმოკლულნი ზაქარია იაკობის ძე და სოფიო ქრისტესიას ასული ნიჟარაძენი, დიმიტრი ზაქარიას ძე ნიჟარაძე და ნიკოლოზ გრიგოლის ძე მელაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას, პირველნი ორნი—მარად დაუვიწყარის შვილის, მესამე—საყვარელი დის, უკანასკნელი—ძვირფას მეუღლის

**თამარ ზაქარია ნიჟარაძის ასულის მელაძისას.**

გამოსვენება კვირას, 5 თიბათვეს, დილის 9 საათზე (ნაძალადევი, ლოტკინის ქუჩა № 9), ნაძალადევის ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში. (1—642—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი
კვირას, (დილით) 5 ივნისს, გაიმართება

## სალიტერატურო-სამუსიკო დილა

მონაწილეობას მიიღებენ: კოლა ერისთავი, ია ეკალაძე, დ. ნაზუცრიშვილი, ილ. ნაკაშიძე, ნინო ნაკაშიძე, გ. ქუჩიშვილი, სვ. ყიფიანი, ვ. გუნია, ი. გრიშაშვილი, აპ. წულაძე, ნ. გოცირიძე, შ. საფაროვი, შ. ტატიშვილი, გ. კანდელაკი, ლხიკო ბარათაშვილი, გ. მღვიმეთ-უხუცესი, ნარკანი, გრ. დიასამიძე, გ. ჯაფარიძე, მაზარაშვილი. ადგილების ფასი 5—50 კ. ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში.
დასაწყ. დილის 1 ს. გამგე ი. მამულაშვილი. (3—1320—3)

ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა

## წინამძღოლი

სთხოვს გუბერნიის თავად-აზნაურთ, მობრძანდნენ 12 ივნისს შუადღის 12 საათზე, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში

**საგანგებო საგუბერნიო კრებაზე**
დასასწრებლად.

კ რ ე ბ ი ს ს ა გ ა ნ ი ა:
1) 1910 წ. ანგარიში თავად-აზნაურობის თანხებისა.
2) თავად-აზნაურობის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1911 წლისა.
(3—1317—2)

## კახეთის მევენახეთა საზოგადოების „კახეთის"

გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1911 წ. 18 ივნისს დანიშნულია მეორე საზოგადო კრება ქ. თელავში ბიუროს სადგომში დილის 10 საათზე. ეს კრება, როგორც მეორე, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

**კრებამ უნდა განიხილოს:**

1) 1909—1910 წლის ანგარიში და 1910—1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 2) ახალი წევრების არჩევანი, ორი გამგეობის წევრის და ორი მათი კანდიდატის არჩევანი, 3) საკითხი იმ წევრთა შესახებ, რომლებმაც არ შეასრულეს საზოგადოების წესდებით დაკისრებული ვალდებულება და მით ზარალი მიაყენეს საზოგადოებას. 4) დანიშვნა გასამრჯელოსი გამგეობის წევრთათვის.
(3—1322—2)

12 ივნისიდან ქ. ქუთაისში გამოვა ყოველ-კვირეული გაზეთი

## „კოოპერაცია"

პროგრამა: 1 მოწინავე წერილები კოოპერატიულ და ეკონომიურ საკითხებზე. 2. წერილები მუნიციპალურ საქმეებზე. 3. კორესპონდენციები კოოპერატიულ ცხოვრებიდან. 4. კოოპერატიულ მოღვაწეთა ბიოგრაფიები (სურათებით) და 5. მოკლე მიმოხილვა მიმდინარე საზოგადო-ეკონომიურ ცხოვრებისა.
ფასი: წელიწადში ქუთაისში 2 მ. 25 კ., ქუთაისს გარედ 2 მ. 50 კ. დასაბეჭდი წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს რედაქციის სახელზე, ქუთაისში.
(4—1311—3) რედაქტორ-გამომცემელი ი ა ს ო ნ გ ა ბ ი ლ ა ი ა.


## ტფილისის კერძო სამკურნალო

**გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.**

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვერცხლის" სასტუმროსთან.
ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. ამბულატორულ ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ბედიჯანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.
დბვთიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვა გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.
მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.
მზარეულოვა მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.
მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.
თერემხოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.
ფარადოვა რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.
ხობოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.
ხულბურავა ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. სამკურნით. (წ.—1089—479)


დიდუბეში

დიდუბის ეკლესიის მახლობლად კვირას, 5 ივნისს, გაიმართება

## კავკასიური ჭიდაობა

იჭიდავებენ: 1. მიშა ქურხული—ალექსი მარტყოფელი. 2. გიორგი ჯიბგირი—სან-ახმედ დაღისტნელი. 3. მამუ ვირელი—გოლა გიუ-ივანესშვილი ზაშველი. 4. კოტე სამადაშვილი—თლუმფი ნავთლუღელი. 5 ვახტანგ ცხინვალელი—მაქრო მცხეთელი. 6. ოსო ვარდანა—ვიქტორ კრიხელი. 7. არჩილ ნავთლუღელი—ვასო კაპანაძე. 8. გიგუცა ბოცრიშვილი—კოლა დოღელი. 9. ოსო როსება—ვასო ზღვლელაშვილი, 10. გიორგი პატარძეულელი—ვიქტორ ზხირტლაძე. 11. არჩილ კომკისუბნელი—კოლა მურთაძე და სხვანი.
დასაწყისი 5½ ს. (2—644—2)


„სორაპანის" სტამბა
გადავიდა მადათოვის კუნძულზევე ი. კამოევის შენობაში. სტამბა უკვე მოეწყო და ღებულობს ყოველგვარ
დასაბეჭდ საქმეებს. (5—1316—4)


ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე

## კომიტეტი

აცნობებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა წლის ივნისის 5-სა, დილის 11 საათზე **სათავად-აზნაურო გიმნაზიის სადგომში დანიშნულია წლიური საზოგადო კრება** საზოგადოების წევრთა. განსახილველია:

1. ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1910 წ.
2. მოხსენება გამგე კომიტეტისა ამ ანგარიშის შესახებ.
3. სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ გასავლისა 1911 წლისათვის.
4. მოხსენება გამგე კომიტეტისა სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობის შესახებ.
5. საკითხები სწავლა-აღზრდისა: 1. ქალების სკოლის, 2. პანსიონის შესახებ და სხვა.
6. არჩევა გამგე კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგისა და წევრისა, ნაცვლად მათდა, რომელნიც კომიტეტიდან გამოდიან სამსახურის ვადამდე.

3—1267—3)

ჭიათურის საურთიერთო ნდობის

## საზოგადოების საბჭო

იწვევს ჩვეულებრივ საზოგადო წლიურ კრებას 5 ივნის, დილის 12 საათზე, ადგილობრივ თეატრის დარბაზში.

**განსახილველი საგნები:**

1. მოხსენება საბჭოსი.
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა.
3. 1910 წლ. ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
4. 1911 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
5. არჩევნები გამგეობის ერთი წევრისა, საბჭოს სამი წევრისა და სარევიზიო კომისიისა.

(3—1301—3)


ქართული საზაფხულო თეატრი
კვირას, 5 ივნისს,
არტისტი ვასო აბაშიძე გამართავს წარმოდგენას.
წარმოდგენილი იქნება ორი ოპერეტა და ერთი ვოდევილი:
**მეჯლისი იტალიელებითურთ,** ოპერეტ. 1 მ. ოფენბახ. მუსიკა, ვ. აბაშიძის თარგ.
**ტოროწინის წინედ,** ოპერეტა 1 მოქ. ჯონასისა, ვ. აბაშიძის თარგმანი.
**ბებრის სალერღელი,** ვოდევილ. 1 მოქმედ. დ. აწყურელისა.
მონაწილეობენ: ქ-ნ ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, პიერრეტა, ნებიერიძისა. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ალ. იმედაშვილი, დ. მგალობლიშვილი, ვ. გუნია, ზ. საფაროვი და სხვანი. ადგილების ფასი 30 კ. 3 მანეთამდე. წარმოდგენის დასაწყ. საღ. 8½ ს.
(4—1230—4) დირიჟორი შ. ფალიაშვილი.



თეატრი
**„მოდერნი"**
მიხეილის პროსპ. № 91.
**მსოფლიო სენსაცია.**
მოჭიდავე ატლეტი ქალები.
დღეს ყოველ სეანსის შემდეგ იჭიდავებენ
**ორ-ორი წყვილი.**
იჭიდავებენ საუკეთესო ფალავნები ჩემპიონატისა.
ა ნ ო ნ ს ი: ამ დღეებში ბენეფისი ქ-ნ ფ. დამბერგისა. ქ-ნი დამბერგი თავის ბენეფის დღეს შეასრულებს ატლეტიკის ბევრ საოცარ სავარჯიშოებს, რომელიც ბევრ ვაჟ-კაცსაც უძნელდებათ.
ა ნ ო ნ ს ი: მოჭიდავე ქალები ითხოვენ ჭიდაობის მოყვარულ ქალებს მათთან გაჯიბრებაში. ჩაწერა შეიძლება თეატრის კასაში. (1—1324—1)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა

**ექიმი** ი. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 8—71

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N2.

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. ლოვინის პროსპ. N 12, ახლი მდ.

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. განთის ქ. ტელეფონი N 816.

ქუთაისში
**ექიმი მ. ი. ჩხენკელი**
შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგი იოსელიანის სახლი. (თ.—1321—2)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
**მიხეილ გედევანიშვილისა**
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—32)


ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის ყოფილი მსმენელი ქალი ფრანგულ-გერმანულ-ენებისა და მუსიკის მცოდნე
**იძლევა გაკვეთილებს**
თანახმაა ქალაქ-გარედაც წავიდეს მასწავლებლად.
ადრესი: გუდოვიჩის ქ. N 7; სამხატვრო კურსები. იკითხეთ მასწავლებელი ქალი. (16—1309—9)


## ვაგზლის კერძო სამკურნალო

კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.
ბ. ა. პოპოვა—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.
ვ. ს. ხტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.
შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
გ. ვ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606"-ით.**
(წ.—1090—76)

**Prof. Dr. Klebs** ბერლინში სწერს: დიდად მიჩნეული, გამოჩენილი თვისება „ფრანც-იოსების" ბუნებრივ მწარე წყალისა ჩემის შემოწმებითა და ცდითაც საუკეთესო გამოდგა სხვა და სხვა სნეულებისათვის, განსაკუთრებით ჭლექისათვის. დავრწმუნდი, რომ ახლად დაწყებულმა სიყაზბემ, „ფრანც-იოსების" წყალის ხმარებით მაშინვე გაიარა და შემაწუხებელი სიფალარათე არ გამოუწვევნია.

ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში იშოვება.

Метцль 181570. (1—1323—1)


## ტფილისი, 5 ივნისი

**გორის მეხილეთა დღევანდელ კრების გამო.** დღეს, 5 ივნისს, უნდა მოხდეს ქართველ მეხილეთა კოოპერატიულ ამხანაგობის დამაარსებელთა დამფუძნებელი კრება.

ინიციატივა ამ ამხანაგობის დაარსებისა, როგორც ვიცით, ეკუთვნის ქართულ სამეურნეო საზოგადოებას, რომელმაც თავისი მოქმედების პირველი პრაქტიკული ხასიათის ნაბიჯი ამაში გამოხატა და ამით აცნობა ფართე წრეებს ჩვენის საზოგადოებისას თავისი არსებობა.

ამ ქართულ სამეურნეო საზოგადოების თაოსნობით მოხდა პირველი კრება ქართლის მეხილეთა, სადაც კოოპერატიული ამხანაგობის დაარსების აზრი დიდის სიამოვნებით იქმნა მიღებული, და მაშინვე ქ. სამ. საზოგადოების კრებაზე დამსწრე წარმომადგენლების წინადადებისამებრ არჩეული იქმნა საორგანიზაციო ბიურო—მოსაწვევად ქართლელ მეხილეთა მომავალ კოოპერატიულ ამხანაგობის დამფუძნებელ კრებისა.

როგორც ვიცით, ბიუროს წევრთ შრომა არ დაუზოგიათ და ყოველივე ღონე ნახმარი, რათა მომავალ დამფუძნებელ კრებაზედ დაესწროს რაც შეიძლება მომეტებული ნაწილი ქართლელ მეხილეთა; თავის მხრით ქ. სამ. საზოგადოებამ დაუმზადა კონსპექტი, ანუ პატარა სქემა მომავალ ამხანაგობის ორგანიზაციისა და ამასთანავე ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც აუცილებლად საჭირო იქნება საქმის პირველ დაწყებისთანავე; ქართ. სამეურ. საზოგადოების აზრით საქმის დაწყებისათვის საჭიროა 12500 მანეთი, თუ ამხანაგობას ექნება არა უმეტეს 30,000 ფუთი ხილისა, რომელიც ამხანაგებმა, ვიდრე ხილი გასაღდება, უსასყიდლოდ უნდა დაუთმონ. ამ 12500 მ. აზრადა აქვთ შეიძინონ ხილის ყუთები, დაიქირაონ ხილის საწყობი და სავაჭრო ბინა ქალაქში გასაყიდად, დაიქირაონ ხილის მომკრეფი—სპეციალისტები, რომელნიც ყირიმიდან უნდა იყვნენ გამოწერილნი, და კომისიონერები რკინის გზის სადგურებზედ და აგრეთვე ამავე ფულით უნდა გასწიონ ხარჯი ხილის გადაზიდვაში.

ბიუროს ენერგიული მოქმედება და წარსულ კრებაზედ დამსწრეთა სიმპატია მომავალ ამხანაგობისადმი გვაფიქრებინებს, რომ 5 ივნისს კრება მრავალ-რიცხოვანი იქნება. ქ. სამ. საზ. წარმომადგენელნი კი მზამზარეულ საორგანიზაციო სქემით კრებას გაუადვილებს შრომასა და თუ მივიღეთ მხედველობაში ის გარემოება, რომ ამ ბოლო წლებში ხილი ჩალის ფასად გადაიქცა და მეხილეები ყოველივე გზას, რომელიც კი მათ რაიმე უკეთეს უქადის, პირველ ხანში, თუნდაც მხოლოდ სიტყვით, დიდის სიამოვნებით ეკიდებიან, უნდა დარწმუნებულები ვიყვეთ, რომ მომეტებული წილი მეხილეთა მოისურვებს ამხანაგობაში მონაწილეობის მიღებას, ეს მით უმეტეს, რომ ზოგიერთ ბაყალს ამ მომავალ ამხანაგობის შიშით უკვე ფასები შესამჩნევად აუწევიათ ხილზედ. მაგრამ ინიციატორნი საქმისა ამ გარემოებამ ერთი წუთითაც არ უნდა გაათამამოს და თავიანთ მიერ დაწყებულ საქმეს დიდის სიფთხილით და წინდახედულებით მოეკიდნენ, თორემ პირველი ნაბიჯის ცოტაოდი სიმრუდეც კი დაღუპავს არამც თუ ამ მეხილეთა კოოპერატიულ ამხანაგობას, არამედ ძალიან ავნებს თვით იდეას კოოპერაციისას, და ვინ იცის რამდენი ხანი დასჭირდეს კაცს, რომ ხელმეორედ შეაგნებინოს ხალხს ამ მეტად სასარგებლო ორგანიზაციის მნიშვნელობა. რომ ეს ესე არ მოხდეს, პირველ წლებში ინიციატორნი უნდა მოერიდნენ მრავალ რიცხოვან ამხანაგობას. პირველ ხანში სრულიად საკმარისია მცირე რიცხოვანი ამხანაგობა, იმდენის საქონლით, რასაც ეს ამხანაგობა გაუძლვება თუ სრულიად თავის საშუალებით არა, ყოველ შემთხვევაში მცირე სესხის დახმარებით, რომელიც პირველ წელსვე უნდა იქმნეს გადახდილი. ამასთანავე პირველი ამხანაგები უნდა შეგნებულნი იყვნენ და თუ პირველ წელს ზარალიც მოუვიდათ, არაფრად ჩააგდონ. ამიტომ ინიციატორთ ამ 5 ივნისის კრებაზედ უნდა ხაზი გაუსვან იმ მოსალოდნელ ზარალს, რომელიც ხშირია ხოლმე ყოველივე ამგვარ საქმეებში. ასეთი ქცევა კი გამოარჩევს მხოლოდ შეგნებულთ და იდეის მოყვარულთ, რომელთათვის არავითარი ზარალი საშიში არ არის. დაე ასეთნი აღმოჩნდნენ სულ 4—5 კაცი, სამაგიეროდ ასეთნაირად დაწყებული საქმე გაცილებით დიდს მომავალს უქადის საქმეს, ვიდრე მრავალ რიცხოვანთა მიერ, მაგრამ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკებისაგან დაწყებული. და თუ ეს მცირე რიცხოვანი ამხანაგობა როგორმე მოახერხებს და უვალოდ მოჰკიდებს საქმეს ხელს, თუ პირველ ხანში მხოლოდ იმას შეეცდებიან, რომ სადმე შეერთებულის ძალით უკეთესი ბაზარი მოუპოვონ და შემდგომ მათ მიერ ზედმეტ მიღებული ფულით ნელ-ნელა შეუდგნენ საქმის ორგანიზაციას, ეს ხომ ყველაფერს ეჯობინება. ყოველ შემთხვევაში მოვაგონებთ ინიციატორთ კოოპერატიულ მოძრაობის პიონერთა როჩდელის მქსოველ მუშების მაგალითს, რომელთაც მცირე თანხით დაიწყეს საქმე, მაგრამ რაკი თვით მონაწილე შეგნებით ეკიდებოდნენ საქმეს, შესძლეს გადაელახათ ყოველგვარი დაბრკოლება და ბოლოს ისე სამაგალითოდ დააყენეს საქმე, რომ მათი მოსეირე დამცინავიც კი შურით შესცქეროდნენ: ეს მაგალითი ინიციატორთ საჭიროა თვალწინ ქონდეთ.

## ახალი ამბები

### ტფილისი

— როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, კავკასიის ნამესტნიკის პეტერბურგში ყოფნის, დროს იქ რამდენიმე კრება შემდგარა, კავკასიის ქედზე საუღელტეხილო რკინის გზის გაყვანის შესახებ. ამ თათბირზე ნა-

მესტნაკს უთქვამს, რომ ამ გზის გაყვანა საჭიროა, რადგან დიდი მნიშვნელობა ექნება სტრატეგიულის მოსაზრებითო.

✦ **ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა** 1911 წლის ხარჯთაღრიცხვით, განზრახულია საადგილ-მამულო კომისიის საჭიროებისათვის 69 ათასი მანეთი გადაიდოს.

✦ **ტფ. ქალაქის გამგეობის წევრი თავ. ნ. ე. არღუთინსკი** გუშინ ფინლანდიაში გაემგზავრა თვენახევრით.

✦ **ტფ. გუბერნატორი ჩერნიავსკი** 3 ივნისს გორის მაზრაში გაემგზავრა. მის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსი ზელენინი.

✦ **ქართული კლუბი სულ მოკლე ხანში გაიხსნება.** როგორც ვწერდით, კლუბის ახალმა მამასახლისებმა კლუბის საჭიროებისათვის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოსაგან ქართულ თეატრის გვერდით იჯარით აიღეს შენობა და მთელი ბაღი. მამასახლისები შეთანხმდნენ აგრეთვე ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობასთან იმის შესახებ, რომ დრო-გამოშვებით თეატრი კლუბს დაეთმოს. ბაღსა და როტონდებს ამ ჟამად კლუბის შესაფერისად აწყობენ. ბუფეტი იჯარით უკვე გაიცა. საწევრო ფულს იღებს კლუბის მამასახლისი ს. გ. კლდიაშვილი.

✦ **ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ვატაცი** საზაფხულოდ კოჯორში წავიდა.

✦ **კავკასიის საამრეშუმო სადგური.** გადმომსახლებელთა კომიტეტის მიერ გადაცემულ მუღანის ველის მამულები თუთის სანერგეს მართავს.. ამ მიზნით მას სოფ. ნიკოლაევკაში (ბაქოს გუბერნია) 10,000 თუთის ნერგი გაუგზავნია.

სხვა წლებთან შედარებით აბრეშუმის თესლს წელს ბევრი თხოულობდნენ, ფასებმაც ძლიერ აიწია; ექვს მისხლიანი აბრეშუმის თესლის ყუთი ფასობდა 1 მან. 30 კაპ-დან —1 მან. 50 კ-მდე. გადარჩეულ და საღ თესლს საამრეშუმო სადგური თეთრ ბანდეროლს აკრავდა ხოლმე.

### წვრილი ამბები

✦ **დაჯარიმებულ იქმნენ** ტფ. გუბერნატორის მიერ: ადამ კობიაშვილი და კნეინა სალომე ანდრონიკაშვილისა 25 მან. პოლიციელთა შეურაცხყოფისთვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდიან, ათ-ათის დღით დააპატიმრებენ.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო** საზოგადოების საერთო კრება სამშაბათს, 7 ივნისს შესდგება. სხვათა შორის მოხსენებას წაიკითხავენ:

1) ბ. ბაგრატოვი „კახეთში ფილოქსერის გამოჩენის" შესახებ. აჩვენებენ სურათებსა და პრეპარატებს.

2) ე. ს. კანჩერი „კავკასიაში სამეურნეო ნაწარმოებთა" შემოტანა-გატანის თაობაზე და სხვა.

### სასწავლებლებში.

✦ **ტფ. საოსტატო ინსტიტუტი** 29 კაცმა გაათავა.

### ქუთაისი

✦ 1 ივნისს, საღამო ხანზე, ბანაობის დროს **დაირჩო** სვიმონ ქორშია.

✦ ამ მოკლე ხანში აქ ჩამოსვლას აპირებს ტფ. ქალაქის მოურავი **ა. ი. ხატისოვი**, რომელიც ლექციას წაიკითხავს ჭლექზე. შემოსავალი „ჭლექთა მებრძოლ კავკასიის საზოგადოების" სასარგებლოდ გადაიდება.

### პროვინცია

✦ **სოფ. ლეულის** (გორის მაზრა) მახლობლად 6 შეიარაღებული ბორიტ-მომქმედი ტყეში მიმავალ გზაზე დახვედრიან არტემ პეტროსოვს და თარიჟ კურმან ოღლის, წაურმევიათ პირველისათვის 105 და მეორესათვის 100 მან. მათვე შეუპყრიათ სოფ. ნადარბაზევის მამასახლისის თანაშემწე ალექსი პრაკაშვილი, მაგრამ ვერაფერი აღმოუჩენია და გაუნთავისუფლებიათ.

✦ **სოფ. ალის** მახლობლად (გორის მაზრა) მწყემსებს მიწაში ჩაფლული გვამი უპოვიათ. მოკლული ალის მცხოვრები ბესარიონ ტაბატაძე ყოფილა. ეჭვი მიუტანიათ და შეუპყრიათ გიორგი ტაბატაძე და ზაქარია გოგოლაძე.

### დუშეთი

✦ კოტე ხერკელაძეს ნიკა ხერკელაძე გაუძარცვავს. მას დასდევნებია ახალგორის ურიადნიკი და სროლა აუტეხია, მაგრამ მძარცველს უსარგებლნია ნისლით და მიმალულა. შემდეგ ის ტფილისში შეუპყრიათ.

✦ სოფ. ახალსოფლის (ტფილისის მაზრა) მცხოვრები იაგორ დათუაშვილი შეუვარდა ამავე სოფლის მცხოვრებს სოფიო ხურაშვილს და შეშინებულ ქალის ნამუსის ახდა უნდოდა, მაგრამ ქალის წივილ-კივილზე სოფლელებმა დროზე მოუსწრეს და დათუაშვილი შეიპყრეს.

✦ **სოფ. გურჯაანში** (სიღნაღის მაზრა) გიგო ჯალალოვს თავისავე ვენახში მოუცვივდნენ ალექსი და ივანე იმერლიშვილები და ხანჯლებით მოკვლას შეეცადნენ. ჯალალოვი სირბილის შემწეობით სიკვდილს გადაურჩა.

# ჟურნალისტის დღიური

23.

**სიმართლისა და ჭეშმარიტების ქურუმი.**

ბ-ნი ი. კარგარეთელი უკმაყოფილებას აცხადებს, მე სიმართლეს გამოაშკარავება მინდა და შინაური კი მიშლისო. რა უსამართლობა აწუხებს ბ-ნ კარგარეთელს? ის, რომ, ვითომც, ვიღაცამ რაღაც ქურდობა ჩაიდინა. რადგანაც ალარავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, ვიზედ და რაზედ ლაპარაკობს ბ-ნი ი. კარგარეთელი, ჩვენც პირდაპირ, გულახდილად ვიტყვით: იგი ქურდობას აბრალებს ბ-ნ ზ. პ. ფალიაშვილს. ქურდობა კი, როგორც კარგარეთელის წერილებიდან სჩანს, გამოიხატა იმაში, რომ ბ-ნ ზ. ფალიაშვილს დაუსაკუთრებია ა. ნ. ყარაშვილის ნაწარმოები „სამშობლო". სწორედ ამ ქურდობის აღმოსაჩენად იყო მიმართული კარგარეთელის პირველი წერილი ყარაშვილისადმი, რომელმაც სიმართლისა და ჭეშმარიტების ქურუმს ჯეროვანი პასუხი გასცა და აღნიშნა ის, რაც ყველამ წინდაწინვე იცოდა. მაგრამ ამნაირის პასუხით ბ-ნი კარგარეთელი არ დაკმაყოფილდა. არ დაკმაყოფილდა იმიტომ, რომ ბ-ნმა ყარაშვილმა იმედები გაუცრუვა და ფალიაშვილს თავიდან ააცდინა ის ბრალდება, რომელშიაც ბ-ნ ი. კარგარეთელს უნდოდა გაეხვია. სწორედ ამ გაცრუებულ იმედების ბრალია, რომ ბ-ნმა კარგარეთელმა შეურაცხყოფა მიაყენა ა. ნ. ყარაშვილს მაშ შემდეგ, რაც ბ-ნა ყარაშვილმა თვითონვე განმარტა სადაო საკითხი. კარგარეთელს ერთი გზა ღა დარჩა; ან უნდა ეღიარებინა, რომ შესცდა და ან კიდევ ბ-ნ ყარაშვილის სიტყვები სიცრუედ დაესახა. მან უკანასკნელი აირჩია. რამდენად კარგად ახასიათებს ეს გარემოება სიმართლისა და ჭეშმარიტების მაძიებელ კარგარეთელს, ამის გამოცნობა თვით მკითხველისთვის მიგვინდვია.

ჩვენ პირადად ინცინდენტი გამორკვეულად მიგვაჩნია ბ-ნ ყარაშვილის განცხადების შემდეგ. ამ საგანზე წერა ამიერიდან უაზრო ჩხირკედლობა იქნება, და ჩვენც ხმას აღარ ამოვიღებთ; მაგრამ, რადგანაც ბ-ნი კარგარეთელი კვლავ განაგრძობს პათეტიურის კილოთი წერას ქურდობაზე, ალბად, სხვა რამ ახალი საბუთები აქვს, ალბად კიდევ აღმოაჩინა სადმე ქურდობა. დაჟინებ ბ-ნ კარგარეთელს, მოთმინებით ადვიჭურვები, მაგრამ გავაფრთხილებ კი, ახალი ქურდობაც ისეთივე ხასიათისა არ იყოს, რანაირიც პირველი იყო.

**შინაური.**

# უცხო სტუმრები

ჩვენი გაზეთის მკითხველნი დღევანდელ სურათებიან დამატებაში ნახავენ ორ სურათს, რომელიც შეიძლება მათ გააოცებს და ფიქრს დაუბადავს: ვინ არიან ეს სრული სამხედრო სამკაულით აღჭურვილნი უცხოელნი ან რად მოხვდნენ „სახალხო გაზეთის" ფურცლებზეო. დააკვირდით მკითხველო კარგად ამ ორ ვაჟკაცის სახეს: მზისაგან დამწვარი სახე, ენერგიული, ჭკვიანური გამომეტყველება გვეუბნება, რომ ესენი უბრალო მაწანწალები არ არიან. და მართლაც ბ-ნ ანდრე მარტენსა და გაბრიელ შაფლეს ისეთი საქმე უდვიათ თავს, რომ ღირსნი არიან მათ შესახებ ცოტა რამ გავუზიაროთ მკითხველს.

შეიძლება ბევრს ჩვენგანს წაეკითხოს, რომ ოთხი წლის წინად საფრანგეთში პარიზის გეოგრაფიულ საზოგადოების მიერ დაინიშნა თვალსაჩინო თანხა 200,000 ფრანკი (75 ათასი მან.) იმის ჯილდოდ, ვინც უკაპეიკოდ 15 წლის განმავლობაში ფეხით გაივლიდა 165 ათას კილომეტრს (ვერსი). თუ ვინმე მატარებლით, ეტლით, გემით ან სხვა რამ სამოგზაუროთი ისარგებლებდა ჯილდოს ჰკარგავდა. მხოლოდ ისეთ ქვეყნებში გადასვლა, სადაც ხმელეთით არ მიისვლება, უფლება აქვთ გემით იმოგზაურონ. ვინც 165 ათას კილომეტრის ფეხით გავლის შემდეგ პირველი მივა პარიზში, მას 150 ათასი ფრანკი მიეცემა, ხოლო მეორეს კი—50 ათასი.

გაჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 22 კაცმა. მხოლოდ მოგზაურობას დღემდე 8 კაცი განაგრძობს. მგზავრებს ნება არა აქვთ ფული შინიდან მიიღონ ან სხვა რაიმე ღონის ძიება იხმარონ, გარდა წაკითხულ ლექციების შემოსავლისა და თავისივე სურათების გაყიდვისა. ბევრი ჩაწერილთაგანი რამდენიმე დღის შემდეგ ჩამორჩენილა, ოთხი მალიარიით გარდაცვლილა, ორი პალესტინაში ყაჩაღებს მოუკლავთ, ერთიც ბერძენ ყაჩაღებს ანატოლიაში მოუკლავთ.

რვა კაცისაგან, რომელიც განაგრძობს მოგზაურობას, ორი ზემოდ აღნიშნული გუშინ წინ ეწვია ჩვენს რედაქციას.

პირველი შთაბეჭდილება მათს დანახვაზე ისეთი იყო, რომ გვეგონა საქმე ან შეშლილთან გვქონდა ან „რუსიაა კავშირის" წევრთან (მათ მარჯვენა მკლავზე ამ ჟამად რუსეთის ნაციონალური ლენტი ართყია), მაგრამ როდესაც ფრანგული ენა გავიგონეთ და პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების წევრობის მოწმობები ვნახეთ, ვიცანით თუ ვინ იყვნენ ეს საინტერესო პირნი. მათთან საუბარი ძლიერ საინტერესოა, მაგრამ ყველაფრის გადმოცემა უადგილობის გამო შეუძლებელია, ამიტომ ჩვენ მკითხველებს მხოლოდ უმთავრეს ცნობებს გავუზიარებთ.

ამ ოთხი წლის განმავლობაში მათ 51 ათასი კილომეტრი გაუვლიათ. ყოფილან: ესპანიაში, პორტუგალიაში, იქიდან ისევ საფრანგეთში, ბელგიაში, ინგლისში, ჰოლანდიაში, შვეციაში, ნორვეგიაში, დანიაში, ავსტრო-ჰუნგრეთში, ოსმალეთში, ჩერნოგორიაში, სერბიაში, ბოლგარეთში, საბერძნეთში, ეგვიპტეში, აბისინიაში, შემოუარიათ აფრიკის კიდეები, შემდეგ გასულან პალესტინაში, შემოუვლიათ დასავლეთ საქართველოს ქალაქები და ქუთაისიდან გვეწვიენ ჩვენ. აქედან წასვლას აპირებენ განჯაში, ერევანში, ყარსში, ბაქოში, კასპიის ზღვის კიდით რუსეთში, თავრიზში და სპარსეთიდან გადავლენ დიდ აზიაში, გაივლიან ჩინეთს, იაპონიას, მანჯურიას, იქიდან ზღვით გადავლენ ავსტრალიაში, შემდეგ ამერიკაში.

ბევრი რამ გადაჰხედიათ მათ თავს. სხვათა შორის არაბების ყაჩაღებს—ბედუინებს იერუსალიმთან გაუძარცვავთ ისინი. მათ ორი დიდი ძაღლი ჰყოლიათ თან, ერთი ყაჩაღებს მოუკლავთ. ამ ძაღლის გონიერულ თვალებს გაოცებაში მოჰყავს ადამიანი.

მოგზაურები შეიარაღებულნი არიან. თან დააქვთ პატარა კარავი, და მთელი სამხედრო სამკაული, რომელიც თითო $1^1/_2$ ფუთის სიმძიმეა.

თუ კარგი გზებიაო—სთქვეს უშიშარმა მგზავრებმა—ყოველ დღე შეგვიძლია 40 ვერსი [illegible], კმაყოფილნი მაინც [illegible] არიან მოგზაურობით. სიცოცხლე ჩვენი ყოველ წუთს ძაფზე ჰკიდიაო. ბევრს ძლავს გულცივად გვეპყრო. ბიანო და ხანდახან არცკი გვაქცევენ ყურადღებასო. ქართველებით აღტაცებულნი არიან. ასეთი მშვენიერება ბუნებისა, ასეთი გულუხვობა და თავაზიანობა როგორც ჩვენ ქართველებმა გაგვიწიეს, არსად არ გვინახავსო. სამუდამოდ დარჩება ჩვენ გულში მათი საუცხოვო გულკეთილობა და სტუმართმოყვარეობაო. თუ მივაღწიეთ ჩვენ სამშობლომდე, შეიძლება იქედან როგორმე გადაუხადოთ მადლობა ქართველებსო. ჯერჯერობით კი „სახალხო გაზეთის" რედაქცია გადმოგცემთ ქართველ ხალხისადმი მადლობას და ჩვენს მეგობრულ გრძნობებსო, — დაამთავრეს უცხო სტუმრებმა.

სამწუხაროდ არ შეგვეძლო რითიმე გაგვეწია მათვის სამსახური ჯერჯერობით, რადგან ისინი გერმანელების ახალშენისაკენ მიეშურებოდნენ, საიდანაც ტფილისში ორშაბათს დაბრუნდებიან.

# ფრენა

ფრენის საქმე დიდის სისწრაფით მიდის წინ და მრავალ მსხვერპლსა სტოვებს გზადაგზა: თავგანწირული ავიატორნი ხშირად იღუპებიან საფრენი მანქანების ამა თუ იმ ნაკლულების წყალობით.

ჩემ მიერ შეთხზული ჰაერის გემის კონსტრუქცია*) ბევრად განსხვავდება დღემდის მომუშავე სხვადასხვა სისტემის ჰაეროპლანებისაგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფრთების ერთ გვარობას ბლერიოს სისტემის მანქანის ფრთებთან. საფრენი ნავი ორ ნაწილისაგან შესდგება და მჭიდროდ შეერთებულია ოთხი არშინის დაშორებით ერთი მეორისაგან სხვა და სხვა გვარ სიმაგრეებით; ზედა ნაწილი გემისა წარმოადგენს მთელი სისტემას ჰაერში შემჩერებელ სივრცეებისას; თვით ტანი, რომელზედაც გამართულია სივრცეები თავის ფორმით ლირას წარმოადგენს: წინა თავში გამართულია ამწევი და ჩამომშვები სივრცე, საჭე, რომელსაც ჰქვიან სიღრმის საჭე; ბოლო ნაწილი კი კუდის დანიშნულებას ასრულებს; მარჯვნივ და მარცხნივაც მიდგმულია ფრთები—თავვარი შემჩერებელი ძალა გემისა—პატარა მოძრაობის დროს. მარჯვენა და მარცხენა ფრთების შუა უზის ორი კოლგის დგვარი მრგვალი სივრცე, რომელიც იმავ სისწრაფით, როგორადაც წინ წამყვანი სივრცე, პროპელური სტრადიებს

*) იხილეთ დღევანდელი „დამატება".

# ხელოვნებიდან
## მიქელ ანჯელო
### (1475—1564)

„ნუ ვინ იტყვის ობლობისა გაებას;
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომცბას,—
საბრალოა მხოლოდ სული ობოლი:
ძნელად ჰპოვოს, რა დაჰკარგოს მან ტოლი!"..
**ნ. ბარათაშვილი.**

დიდებული მხატვრის მიქელ ანჯელოს ცხოვრება განუწყვეტელი ტანჯვაა ობოლი სულისა, რომელსაც ტოლი ვერ უპოვნია და თვისი კავშირით მოცული ფიქრები ვერვისთვის გაუზიარებია. რამდენად მწვავე და აუტანელია სულის ობლობა, ეს საოცარის ნიჭით გადმოგვცა ჩვენმა უკვდავმა პოეტმა ნ. ბარათაშვილმა. იგი თვის ძვირფას ლექსებში დასტირის სულის მარტოობას და ნათლად გვიხატავს „ობოლი სულის" მდგომარეობას: „ძნელი არის მარტოობა სულისა, მას ელტვიან სიამენი სოფლისა"-ო, ამბობს იგი.

მართლაც, მეტად ძნელია მდგომარეობა, როდესაც ადამიანი ქვეყანაზე მარტოდ-მარტო ჰგრძნობ თავს, ვერ გიპოვია გულითადი მეგობარი, რომელსაც შეუძლიან გადაუშალოს გულის ნადები, რომლისაგანაც გაიგონოს თბილი და წრფელი სიტყვები. მეგობარს მოკლებული ადამიანი ხშირად „გულდახურულთა" მეგობარს —ბუნებას— მიაშურებს და სცდილობს მასში იპოვოს თვისი გულის მესაიდუმლე. გახვეული ბუნების წიაღში, იგი უხულო საგანთ მოუთხრობს თვისი სულის მარტოობას, თვის უნუგეშო მდგომარეობას და მათ ემუდარება მის შეგნებას.

სულის ასეთ მდგომარეობას მეტად დიდი გავლენა აქვს ადამიანის შემოქმედებაზე. მიქელ ანჯელოს მიერ შექმნილ ნაწარმოებს თეთრი ზოლივით გასდევს განუწყვეტელი ტანჯვა-ვაება ობოლი სულისა: ოთხი ფიგურა დღისა, ღამისა, საღამოსი და განთიადისა, მედიჩთა შთამომავლობას ერთ საფლავზე გამოქანდაკებული, წინასწარმეტყველთა, თუ ბრუტის გამოსახვა, ყველანი მჭერმეტყველურად ღაღადებენ მხატვრის სულის მოუსვენრობასა და სევდას. იგინი აღნიშნავენ მის სულის მარტოობას და გვიზიარებენ იმ უმაღლეს სასოწარკვეთილებას, რომლითაც მოცული იყო დიდებული მხატვარ-მოქანდაკის ცხოვრება. ყოველთვის, როდესაც მიქელ-ანჯელო თვის სონეტებში სიყვარულს ეხება, იგი გადმოგვცემს თვის სულიერ ტანჯვას და სევდას; სიყმაწვილეში სიყვარულის გამაცოცხლებელ ძალას მოკლებული, იგი ხშირად იტყოდა ხოლმე: სიცოცხლის მომნიჭებელო სიყვარულო, თუ გსურს ერთის წამით მაინც გაათბო ჩემი გული შენის სხივებით, თუ გსურს შენი უძლეესის ძალით დაიმონო ჩემი არსება, დამიბრუნე ის სახე, რომელსაც ბუნებამ ერთ დროს სილამაზის ნიშან-წყალიც კი ჩამოაშორა!

რომ ნათქვამი ცხადი შეიქმნეს, გადავავლოთ თვალი მიქელ ანჯელოს ბიოგრაფიას. როდესაც მიქელ-ანჯელოს დედა მასზე უკვე შვიდი თვის ორსულად იყო, იგი ცხენმა გადმოაგდო და დიდ მანძილზე აითრია. ეს შემთხვევა უკვე პირველი ნიშანი იყო იმისა, რომ ანჯელოს ცხოვრება აღსავსე იქნებოდა მოულოდნელი შემთხვევებით. როდესაც მიქელ ანჯელო წამოიზარდა და სურვილი განაცხადა მხატვრად მომზადებისთვის, მისმა მამამ იუკადრისა, როგორ თუ, ძველი გრაფების, კანოსსების შთამომავლი მხატვრობას ნდომულობსო! დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ანჯელო გირლანდაიოში*) გაემგზავრა მხატვრობის შესასწავლად. აქ იგი ვერ შეეთვისა ვერც მასწავლებელს და ვერც მოსწავლე ახალგაზრდობას. ერთხელ ერთ ამხანაგთან, ტორენჯიანი, ჩხუბი მოუვიდა; ტორენჯიანმა ცხვირზე კეტი დაჰკრა და გაუჭყლიტა; ისედაც ულამაზო სახეს ეს დასახიჩრებაც მიემატა, და ამ გარემოებამ დიდი გავლენა იქონია მიქელ ანჯელოს მეტად მგრძნობიარე სულზე. სიყმაწვილეში ანჯელო მოწმე იყო მედიჩების ტახტიდან ჩამოგდებისა და რესპუბლიკის დაარსებისა, უცხო ტომთა შემოსევისა და მედიჩების ხელახლა გამეფებისა. 1527 წელს იგი ფლორენციის ზღუდეს კარლოს მე-5-ს ჯარისაგან დაცვას ხელმძღვანელობდა; იგი მეტად გულწრფელი მომხრე იყო თვისი და სამშობლოს თავისუფლებისა და, ნიშნად თვისი რესპუბლიკანურ წეს-წყობილებისადმი ერთგულებისა, ფლორენციის ხალხს დაუტოვა მეფე დავითის ქანდაკება, რომელშიაც აღებულია ის მომენტი, როდესაც ახალგაზდა სიცოცხლითა და ენერგიით აღსავსე ტანად მორჩილი დავითი უზარმაზარსა და საშინელს გოლიათს ებრძვის. საზოგადოდ კი, ძლიერ იშვიათი იყო მიქელ ანჯელოს ცხოვრებაში მხიარული წუთები, იგი მუდამ მწარე ფიქრებით იყო მოცული და სულის ასეთ მდგომარეობას შემოქმედებაში აქსოვდა.

*) ქალაქი იტალიაში.

მისი სურათი „ღამე" ძილის განხორციელებაა, რომელსაც გარედან ნიღაბი აქვს მიკრული, რომლის სახეს უხიცოცხლო თვალები და უმზგავსი გამომეტყველება აქვს. მშვენიერი სახის ქალები მასში სიყვარულს კი არ აღვიძებდნენ, არამედ შიშსა ჰგვრიდნენ მას; მას მოსწონდა მხოლოდ სილამაზე მამაკაცის სხეულისა. მთელი არსება მიქელ-ანჯელოსი დედამიწისადმი ზიზღით იყო მოცული და ამისთვის იგი ქვეყნიურ ცხოვრებიდან აღებულ სურათებში იშვიათად გადმოგვცემს ცოცხალსა და ნამდვილ სახეთ. მისგან შექმნილი არსებათ ან სძინავთ და ან ღრმა ფიქრში არიან წასულნი. თვისი სურათის „ღამის" სონეტში მიქელ ანჯელო ამბობს: „წყნარად, წყნარად, ნუ მიფრთხობ ძილსა".

მხოლოდ მუშაობის დროს თუ შეაჩერებდა ხოლმე მიქელ ანჯელო სულის შემხუთველ გრძნობათა სრბოლას. იგი მუშაობდა დრო-გამოშვებით, როდესაც თავს ახწევდა მწარე სევდით მოცულ წინასწარგრძნობათ. შემდეგ მიქელ ანჯელოს სულიერ ტანჯვას სარწმუნოებრივი იჭვიანობა და სხეულის უძლურებაც დაემატა. მას განუახლდა იმ დროის მოგონებანი, როდესაც იგი სავანაროლას ფერხთან მჯდომარე გულდასმით ისმენდა მის ქადაგებას. მიქელ ანჯელო არა მარტო გარეგნობით იყო ულამაზო, ხასიათიც მოურიგებელი ჰქონდა და ამისათვის მეგობართ ვერ იზიდავდა; პირიქით პერუჯინსთანაც და ლეონარდოსთანაც მეტად მტრულ განწყობილებაში იყო და არასოდეს არ დასწრებია ფლორენციის მხატვართა საერთო კრებებს.

როდესაც მიქელ ანჯელო რომში მივიდა, იქ ამ დროს პაპის ტახტი მეტად გულფიცხ ადამიანს,— იულის—ეჭირა. ამბობენ, იული ხშირად გულმოსულობის დროს თავის კარდინალებს სცემდაო. ერთხელ, მიქელ ანჯელომ პაპისთან ლაპარაკის დროს ქუდი არ მოიხადა, ასეთმა თავხედობამ გულფიცხი იული ძალზე აღაშფოთა და მიქელ ანჯელო [illegible]ძულებულ ჰყო რომი დაეტოვებინა.

საზოგადოდ, ანჯელო გაურბოდა საზოგადოებას და უმეტეს დროს განუწყვეტელ მუშაობას ანდომებდა. როგორც წარმტაცი ბუნების შვილი გაურბის ხრიკსა და მწირ ბუნებას, ისე მიქელ ანჯელო გაურბოდა საზოგადოებას; აი, რას სწერს იგი თავისიანებს: „შრომითა და ფიქრებით წელში მოხრილს ჰთელს რომში ერთი მეგობარი არ მომეპოვება, მაგრამ მართალი გითხრათ, არცა მსურს, რადგან მე არავის არ ვსაჭიროებ".

პაპის ლევის დროს, როდესაც რომში ეპიკურელთა დროსტარება გაბატონდა და ლამაზ ქალებსა და ძვირფას საჭმელებსღა ქონდათ ფასი და პატივისცემა, მიქელ ანჯელო თანდათან შორდებოდა საზოგადოებას და პირად გრძნობათა და ფიქრთა ნაკადში ეხვეოდა. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, მიქელ ანჯელო ერთი უდიდესი მხატვართაგანია მე-16 საუკუნის პირველი ნახევრისა. იგი არა მარტო მხატვარი, არამედ მოქანდაკე, ხუროთ-მოძღვარი და პოეტიც იყო. მის მხატვრულ შემოქმედების გულისყურს უმეტეს ნაწილად ძლიერი ხასიათით აღჭურვილნი პირები იპყრობენ. ამ მხრივ მან პირველად ყურადღება მოსეს წინასწარმეტყველს მიაქცია.

ანჯელოს გამოსახვით მოსეს წარბები შეკრული აქვს, ტანზე მოუჩანს რკინის რგოლების მზგავსი ნაკვთები და სახეზე აღბეჭდილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბრუნებს გორიზონტალურ სივრცეებით თავის ვერტიკალურ ღერძების გარეშემო. ამათ მოძრაობას ორნაირი დანიშნულება აქვს: შეანარჩუნოს მთელ მანქანას ვერტიკალური მდგომარეობა და, მეორეც, ჰაერში შემჩერებელი ძალები მიაშველოს ფრთებს და სხვა სივრცეებსაც. დაბლა ნაწილი წარმოადგენს ნავის ძირს გოგრებზედ დაყრდნობილს, სადაც მოთავსდება თვითონ ავიატორი, მატორი და ყოველივე სხვა სიმძიმეც; ამ ნაწილს უკან გაკეთებული აქვს წინწამწევი პროპელერი; სულ პოლოში პროპელერის პირდაპირ ამართულია მთელს სიმაღლეზე გვერდის საჭე სამყურის სივრცის სახით, წინ ნავის ძირს გამართული აქვს საფარი, რომ გარდა თავისა არა გამოჩნდეს საწინააღმდეგო რამ სივრცე ჰაერისათვის. დაბლა ნაწილი ნავისა, როგორც უფრო მძიმე მუდამ მიწასთან ახლო იქნება. ამ გვარი მდგომარეობა კიდევ ანამდვილებს განისა და სიგრძის სისწორეში ყოფნას და ვინიცობა ზედა ნაწილში დაზიანდა რამ მძიმე ნაწილი, ადრე დაეშვება მიწისაკენ და ზემო ნაწილს კიდევ შერჩება რაიმე სივრცეები, რომ შემჩერებელ ძალებად დაეხმაროს დაბლა ნაწილს.

რთული საკითხი ჰაერის სრულიად დაძლევისა, ნებას არ მაძლევს გავბედო და ვსთქვა, თუ რა ნაკლს გამოიჩენს ნამდვილი ზომა ამ სისტემის ნავი ამოძრავების დროს. მხოლოდ მეტი სხვა და სხვა სახის შრომა ადამიანისა, ახალ წვლილს შეიტანს ამ საქმეში და მოკლე ხანში დამწიფებული ნაყოფი მიერთმევა კაცობრიობას თავის საბედნიეროდ და მოსახმარებლად.

დღეს-დღეობით მაქვს, ჩემივე ხელით ნაკეთები მოდელი, ერთი მეათედი ნამდვილი ზომისა, სურათიც ამ მოდელიდან არის გადაღებული. საჭიროა ეს მოდელი გასამდეს და პატარა მატორით ამოძრავდეს, რისთვისაც ორას-სამასი მანეთია საჭირო. ვისაც აინტერესებს ეს კითხვა, მზადა ვარ ვაჩვენო მოდელი და დაწვრილებით გავაცნო საქმეს.

მსურველთ შეუძლიანთ „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში მიიღონ ცნობა.

**ან. კლდიაშვილი.**

## დაბა ოჩემჩირე—შავი-ზღვის ახალი ნავთსადგური

ამ სათაურის წაკითხვაზე შეიძლება ბევრ გაეცინოს. დაბა ოჩემჩირე და—ნავთსადგური! სად შეუძლია პაწაწა დაბამ ასეთი დიდი საქმე იკისროსო. მაგრამ ეს ფაქტია. ოჩემჩირე მშვენიერად გადაკეთდება და მას ისეთივე მნიშვნელობა ექნება ვაჭრობა-მრეწველობისათვის, როგორც ფოთსა და ბათომს. ამ დღეებში აქ ჩამოსულა ერთი გერმანელი და ერთიც პოლონელი, რომელთაც საკონცესიო ამხანაგობის მხრივ გაუმართავს დაბასთან მოლაპარაკება. კრება მომხდარა ორშაბათს, 30 მაისს, ბ. ა. ჩხენკელის თავმჯდომარეობით. კრებას კონცესიონერების წარმომადგენელთ გარდა დასწრებია ცაბისა და სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი, და ადმინისტრაციის მხრივ ნაწილის უფროსი. კრებამ განიხილავს კონცესიონერების წინადადება და ხელშეკრულობა უკვე დაუმტკიცებია. ამ ხელშეკრულობის ძალით დაბამ კონცესიონერებს უნდა მისცეს 100 დესეტინა მიწა, რომელშიაც გამოსთხრიან ნავთსადგურს. კონცესიონერები 81 წლის განმავლობაში თითო დესეტინაზე იხდიან: პირველ 27 წლის განმავლობაში წლიურად 5 მანეთს, მეორე 27 წელს—7 მან. და 50 კაპ., უკანასკნელ 27 წელს კი—12 მან. 50 კ.

სამაგიეროდ ამხანაგობამ ამ 100 დესეტინაში უნდა გათხაროს ოკეანეს გემებისათვის საკმაო სიღრმის ნავთსადგური, გააწყოს ელევატორები, გასატან საქონლის საწყობები და გააკეთოს ქალაქში წყლის [illegible]ილები; მცხოვრებთ საჭირო წყლის მეოთხედი უფასოდ დაეთმობა; ამას გარდა საზოგადოებამ უნდა მოაწყოს ელექტრონის სადგური; ქალაქის არჩევით ერთი ქუჩა უფასოდ უნდა გაანათოს, დანარჩენების გასანათებლათ კი ენერგია იმ ფასად აძლიოს, როგორც საზოგადოებას დაუჯდება.

რაც ნავთ-სადგურის გათხრით გზები იშლება, საზოგადოებამ თავისის ხარჯით მოსავლელი გზები უნდა გაიყვანოს. ამოღებული მიწა ქალაქს შეუძლია მოიხმაროს იმ ჭაობების ამოსაშრობად, რომელიც ციებ-ცხელების ბუდედ ითვლება.

საზოგადოებას უფლება არა აქვს აქაურ ვაჭრობა-მრეწველობას მეტოქეობა გაუწიოს. ნავთსადგურში კი თავის მუშებისათვის ნება აქვს გააკეთოს ფურნე, სანოვაგის დუქანი და საყასბო.

მეთექვსმეტე ნაწილი ნავთსადგურის შემოსავლისა დაბის სასარგებლოდ გადაიდება. ნავთსადგურით კონცენსიონერები ისარგებლებენ 81 წლის განმავლობაში, შემდეგ კი ყველაფერი დაბის საკუთრებად გადავა გამოუსყიდველად. კონცესიის ვადა იწყება მთავრობის ნებართვის მიღებიდან, მუშაობას სამი წლის განმავლობაში უნდა შეუდგნენ და 9 წლის განმავლობაში დაასრულონ. ნავთსადგური ოჩემჩირეს მარცხენა მხარეს გაკეთდება, იქ სადაც პატარა მდინარე „აძიგვა“ ზღვას ერთვის. ეს მდინარე ნავთსადგურის შუაში მოჰყვება.

თუმცა ეხლა ოჩემჩირე პაწაწა დაბაა, მაგრამ სამეურნეო ნაწარმოები მაინც ბევრი გადის. ყოველ წლიურ საფუთით კაპეიკიან გადასახადს დაბა 15 ათას მანეთამდე იღებს ხოლმე. მას შემორტყმული აქვს მთელი სამურზაყანო და აფხაზეთის საუკეთესო ნაწილი.

მრავალი ხე-ტყით, ლობიოთი, სიმინდით და სხვა ასეთებით იტვირთება გემები. იქვე ახლოს მდებარეობს მთა ადგილი „ტყვარჩელი“, სადაც საუცხოვო ღირსების ქვანახშირია და თუ შავის ზღვის კიდეს რკინის გზა დაუახლოვდა, ამ დაბას ისეთი დიდი მნიშვნელობა მიეცემა, რომ მალე დაბის სახელსაც იუკადრისებს.

**ა.**

## დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის საად.-მამ. ბანკის **გამგეობის წევრებად დაასახელეს:** თ-დი ბეჟან წერეთელი, თ-დი ალექსანდრე ლორთქიფანიძე და იაკობ ფანცხავა, რომელთაც მიიღეს: თ-დმა ლორთქიფანიძემ 123 თეთრი და 37 შავი, ი. ფანცხავამ 95 თეთრი და 65 შავი, თავ. წერეთელმა 87 თეთრი და 73 შავი. გამგეობის წევრებად **აირჩიეს:** თ-დი ა. ლორთქიფანიძე და ი. ფანცხავა.

**ზედამხედველი კომიტეტის წევრებად აირჩიეს:** გიორგი ზდანოვიჩი—107 თეთრი და 28 შავი, კონსტანტინე გოცირიძე—113 თ. და 21 შავი და თ-დი. სოლ. მიქელაძე—103 თეთრი და 31 შავი.

თ-დმა დავით ოტიას ძე ნიჟარაძემ ყუთის დადგმა არ ისურვა.

## მწუხრის სიმღერა

წახვედი... მარტოდ დამტოვე!
გდახ გულზედ სევდა დამთოვე..
გძებდი დიდხანს.. ვერ გპოვე!
თავი ჭმუნვასა მივეცი,
ცრემლის მდინარედ ვიქეცი!

* *

ნიავო ცელქო და მალო,
მყინვარის ქედო მაღალო,
დრუბელო ცაზედ მავალო,
მითხარით—ნეტა სად არი
მზის სწორი, ღვთისა სადარი?!

* *

აუწყეთ ჩემსა დამტანჯველს,
ჩემს გამხელებელს და დამწველს,
რომ მის მეგობარს ნაცადს, ძველს,
არ შემშრეტია გული გულს:
ისევ ძველს ვეტრფი სიყვარულს!..

* *

გწვიმ ცრემლით... ცრემლისა სეტყვით!
უთხარით... მაგრამ რას ეტყვით?
გრძნობას გამოსთქვამ რა სიტყვით?
კვდება თქო მარტო, ობოლი,
გით დამაზრალი ფოთოლი.

* *

რომ მოაგონდეს ეს მხარე,
ჩემი საფლავი სამარე
რომ ინახულოს მწუხარე...
ზამბახი დარგოს ზედ ნაზი
მისებრ თეთრი და დამაზი!..

* *

და იმ ზამბახში დადუდულს,
უდროვოთ დამწვარს, დადაგულს
მთავბერავს ჩემსა ნატკენ სულს..
მორწყავს მის ფესვებს ნელითა
ცხოვრებამგემულის ცრემლითა..

* *

თუ რომ ყვავილის ბაგენი
ტურფისას ჩემის მბაძენი,
ეშხის გრძნეული ბადენი,
ლხენით აივსებიან,
ღიმილით გაიშლებიან,

* *

იცოდეს—მაშინ ჩვენს წარსულს,
ტკბილს, დამათრობელ სიყვარულს,
მზესავით ნათელს სიხარულს—
სული ლხენით იგონებს,
თვით სიკვდილს წუთით იმონებს!..

* *

და თუ ზამბახმა დახარა
დამაზი თავი პატარა,
თუ მის ფურცლებმა დაღვარა
ცვარცრემლი მუდარებისა,
იცოდეს—განშორების ჟამს,
უკანასკნელი კოცნის წამს,
მის სიტკბოს და მის მწარე შხამს
იგონებს დახვდარ-სობილი
გული შუაზედ პობილი!

**კ. მაყაშვილი.**

## სოხუმელთა შორის

დრამატიული ხელოვნების მოყვარეთა წრე.—ისევ სახადი.—წერა-კითხვის სოხუმის განყოფილების წევრთა წლიური კრება.—ქართული სკოლის შენობა.—იუბილე ეკატერინე გაბაშვილისა.—ქალაქის სამკითხველო.—საშინელი გვალვა.—სიმინდის ფასების დაცემა.

დღევანდელი ჩემი წერილი უნდა დავიწყო სასიამოვნო ამბავით. როგორც მკითხველს მოეხსენება, ჩვენი ტურფა ქალაქი თითქმის მთელს მსოფლიოს მოწყვეტილია უგზოობის გამო. მართალია, ორთქლ-მავალი გემები ხშირ-ხშირად შემოდიან, გარნა ისინი ისე მიჩანჩალებენ, რომ კაცს გული უწუხს. მოგეცეს ლხენა, კაი დარში მათზე მოგზაურობა სასიამოვნოც იყოს, გარნა ამისთანა ბედნიერი დღეები „მეუქსინელ პონტზე“ ძლიერ იშვიათია, რის გამოც ძალიან ხშირად მთელი კვირეები უგაზეთოდ ვრჩებით. სხვათა შორის ამავე უგზოობას უნდა მიეწეროს, რომ აქაურ ქართველობა გონებრივს საზრდოს დრამატიული ხელოვნების სახით აქამდის მოკლებული ვიყავით. ხოლო ამ გაზაფხულიდან ბედმა გაგვიღიმა. შალვა დადიანის ხელმძღვანელობითა და ელო ანდრონიკაშვილის მონაწილეობით დაარსდა დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა წრე, რომელმაც საქმეს მეტის-მეტად ენერგიულად მოჰკიდა ხელი, და მათდა სასახელოდ ჯერხნობით ჩინებულად მიჰყავთ საქმე. უკვე სამი წარმოდგენა გაიმართა ამ წრის მიერ და სამივე მწყობრად ჩაიარა. ხალხიც ბლომად ესწრება და დიდად კმაყოფილიც არის. ხოლო ერთი გარემოება ხელს უშლის ამ წრის ნაყოფიერ მოქმედებას: შესაფერი შენობა არა გვაქვს. მართალია, ბატონმა სამურიდმა ააშენა, როგორც ის უწოდებს, „პირველი თეატრი“, რის გამოც მისი (ბ. სამურიდის) სახელი „უკვდავთა სიაში“ ჩასწერეს ბ. ბელიაევმა და მისმა ამხანაგებმა, რომელთა დევიზია:

„დიდთა უკმიე, სხვათ არა“.

ამ შემთხვევაში პირადად მე სამწუხაროდ ისა მრჩება, რომ უმოწყალო დრო ყურად აღარ იღებს ბ.ბ. ბელიაევის ვედრებას და სამურიდის სახელს ამოშლის უკვდავთა სიიდან.

წრის აზრი და მიზანი ის არის, რაც შეიძლება იაფად მიაწოდოს აქაურს არა მდიდარს საზოგადოებას ხშირ-ხშირად წარმოდგენები, გარნა სწორედ აქ უშლის მათ ხელს უბინაობა. ჯერ-ერთი რომ ბ. სამურიდის თეატრს ყოველთვის ველარ იშოვნი და მეორეც მეტად ძვირია. კვირა-უქმით ასი მანეთია, ხოლო დანარჩენ დღეებში კი 75 მანეთი! და რაგასაკვირველია, რომ პროვინციალურმა წრემ ასეთი დიდი ხარჯები ველარ აიტანოს. აი სწორედ ამ მხრივ მოელის ჩვენ წრეს საფრთხე. სხვა შესაფერი შენობა კი ჯერ-ჯერობით ქ. სოხუმში არ მოიპოვება, თუმცა ახლო მომავალში გვექნება მართლა თეატრი ბ. ალიხისა.

როგორც უკვე მოგწერეთ, ამ გაზაფხულზე სოხუმს ესტუმრა საშინელი მტერი კაცობრიობისა-სახადი და ერთ დროს დიდი შიშხათი მიაყენა სოხუმელთ: თითქმის ერთი კვირის განმავლობაში ამ სენით გახდა ავად 41 კაცი. ისე რომ ქალაქის თვითმმართველობა იძულებული იყო ქალაქის საავადმყოფო (პირველად აქ იჩინა თავი) ამ სენით შეპყრობილთათვის დაეთმო. ენერგიული ზომების წყალობით თვით ქალაქში სენი სუსტდება და მისი მიმდინარეობა მშვიდობიანია. ამდენ ავადმყოფთაგან მხოლოდ ორი კაცი იმსხვერპლა: ერთი თათარი და მეორე საავადმყოფოში მოსამსახურე ქურუორია. მაგარი ის არის, რომ სოფლებშიაც აქა-იქ იჩინა თავი, მაგ. მესრხეულში, ნააში და სხვაგან. როგორც მცოდნე კაცები ამტკიცებენ, მოარულ სენის გამავრცელებელ ადგილებია — ათონისა და დრანდის მამათა მონასტრები: მიუხედავად თავიანთ სიმდიდრისა, სანიტარულის მხრივ მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია, ხოლო რუსეთიდან მლოცველები დღე ერთია და ათასობით აწყდება. მათთვის დამზადებული ბინები კი უფრო საღორესა ჰგავს, ვიდრე ადამიანისათვის საცხოვრებლად დანიშნულს ბინას. ამ მონასტრებს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, თორემ ახლო მომავალში, თუ სახადმა თავი დაგვანება, ხოლერას არ აუცდებით. აქვე არ შემიძლია არ მივაქციო მკითხველის ყურადღება იმას, რომ ამ სენთან ბრძოლაში თავი გამოიჩინა ექიმ-ქალმა ზახაროვისამ და ექ. ფაშალიძემ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**სოხუმელი ჩითორა.**

## პატარა ფელეტონი

### დანისლული პურადობა

შეუძლებელია ჭეშმარიტი სარწმუნოებრივი გრძნობა და წმინდა ზნეობა დაცული იყოს ხალხის იმ ნაწილში, რომელსაც თავისი მარჯვენით პური არ მოჰყავს.

**ჯონ რესკინი.**

მუშა ხალხში უაზრო პურადობა ნაკლებადაა განვითარებული. მუშა, მხვნელ-მთესველი, ქირნახულის მომყვანი ადამიანი ტყუილად არ გაჰფანტავს იმას, რის შესაძენად ბევრი ჭირი უნახავს, და მხოლოდ ისეთ კაცს გაუმასპინძლდება, ვისაც მართლა ჰშიან, ვისაც გზაში შემოუღამდა და

---

აქვს ხასიათის განსაცვიფრებელი სიმტკიცე.

პაპების ვატიკანში კედელზე ანჯელოს მიერ გამოსახული ქრისტე უფრო იუპიტერს მოგვაგონებთ, რომელიც ელვით სპობს ცოდვილებს, ვიდრე მოყვასთა სიყვარულის დიდებულ მაძღვარს; საზოგადოდ, მიქელ ანჯელოს მიერ თვის სურათებში გამოსახული ქრისტე სრულიად არა ჰგავს იმ გალილეველს, რომელიც გლახაკებთანა და ღარიბებთან ერთად შეექცეოდა საჭმელს და რომლის სულიც მოსვენებას ჰპოულობდა უმანკოებით აღსავსე ყრმათა წრეში. მიქელ ანჯელოს გამოსახვით მის სახიდან გამოსჭვივის ხასიათის ძლიერი სიმტკიცე და არა ის სინაზე, რომლითაც ქრისტე მრავლად ინადირებდა ადამიანის გულს.

**წმინდა ოჯახი**, რომლის გამოსახვაში ფრანცისკო და ლეონარდო და-ვინჩი ულრმეს სიყვარულსა, სინაზესა, დედის ღმა გრძნობათა, მხიარულებასა და საერთოდ კი სარწმუნოებრივ მადლს გადმოგვცემდნენ, მიქელ ანჯელოს გამოსახვით ტიტანთა ოჯახს წარმოადგენს: სურათში წინ ზის ფეხ-მორთხმული დედაკაცი, რომელიც სრულიად არა ჰგავს არც ქალწულ მარიამს და არც წმინდა მადონნას; იგი მეტად ძლიერი და ახოვანი ტანისაა, მუხლები მარჯვნივ გადუხრია, მკლავები კი მარცხნივ და ბავშვი—იესოს ართმევს მის უკან მჯდომარე თეთრი თმით შემკობილ ათლეტს.

მიქელ ანჯელოს მიერ შექმნილი ღმერთი არც ქრისტეს მიერ აღიარებულ ზეციერ მამას ჰგავს და არც ძველი აღთქმის იეჰოვას. იგი უფრო ისეთ არსებას მოგვაგონებს, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევს ადამიანის ტანჯვით მოცულ ცხოვრებას და მიუწდომელის სიამაყით დანავარდობს ცის სივრცეში: იგი ხელებს ზევით აპყრობს—ჩნდება სინათლე; იგი ხელებს ორივე მხრით შლის—ჩნდება მთვარე და მზე; იგი ქვევით ეშვება და ქვეყნად სიცოცხლე ისახება. ასეთია შემოქმედი მიქელ ანჯელოს სურათში „შექმნა ქვეყნისა“.

დიახ, მიქელ ანჯელოს ღმერთი არსებითად განსხვავდება იმ ყოვლად მოწყალე და ლმობიერი ზეციერი მამისაგან, რომელიც დიდებულმა ნაზარეველმა განასახიერა თავის უმწიკვლო და ფაქიზ სულში და შემდეგ აცნო კაცობრიობას: „და ვაუწყე სახელი შენი და ვაუწყო, რათა სიყვარულითა მით, რომელითა შემიყვარე მე, მათ შორის იყოს და მე მათ თანა“; „რათა იყვნენ სრულ ერთობითა, და რათა უწყოდეს სოფელმან, რამეთუ შენ მომავლინე მე და შეიყვარენ იგინი, ვითარცა მე შემიყვარე“. (იოან. თავ. 17, 26, 23.)

ძველი მხატვრები სამოთხეს მშვენიერ წალკოტად გვიხატავდნენ (მაგალითად ფრანცისკო), მიქელ ანჯელო კი სამოთხეს მცენარეთა ფოთლებით გვიხატავს; ადამ და ევას ტანი ლეღვის ფოთლებითა აქვთ დაფარული; ევა მიწაზე ზის და ხელს იწვდის გველისაკენ, რომ მას ვაშლი გამოართვას, ადამი კი ზეზე სდგას და ხისაკენ მიიწევს.

სურათში „საშინელი სამსჯავრო“ ქრისტე დედისშობილი სდგას და გარეშემო წმ. მოწამეთა ჯგუფი ჰყავს შემორტყმული; ქრისტესაკენ ყოველი მხრიდან ანგელოსთა გუნდები მოფრინავენ; ელვა, რომელიც ქრისტეს ხელიდან გამოდის, მთელს სამყაროს დანგრევას უქადის, მაგრამ, მიუხედავად იმისა,—რომ მიქელ ანჯელო, ქრისტეს ასეთ შემაშინებელ პოზაში გამოსახავს, მის სურათში ცოდვილნი, რომელთაც საუკუნო ტანჯვა უნდა დაიმკვიდრონ ისეთ მორჩილებას არ იჩენენ, როგორც ეს ძველ მხატვართ აქვთ გამოსახული; იგინი ცოდვილი კი არა, აჯანყებულ გიგანტებს მოგვაგონებენ, რომელთაც იერიშით ზეცის აღება ჰსურთ.

მიქელ ანჯელოსთვის უცნობი იყო შიში და მონური მორჩილება.

სურათში, რომელიც ნოესაგან წარღვნის შემდეგ ღმერთისადმი მსხვერპლის შეწირვას გამოსახავს, სამსხვერპლოს გარშემო თორმეტი შიშველი ადამიანი სდგას; მათ შორის ერთი ღრმა ფიქრშია წასული, მეორეს თვალები ზეცისაკენ მიუპყრია და განცვიფრებით იყურება მარადიულისაკენ.

„წარღვნაში“ მიქელ ანჯელო საშინელის სიცხადით გადმოგვცემს აუწერელ შიშს, რომლითაც მოცულია ადამიანი იმ დროს, როდესაც წყალი თანდათან ავსებს დედამიწას და ყოველივეს წალეკვას უქადის: დედაკაცთ ბავშვები უჭირავთ ხელში და საცოდავად ცახცახებენ, ხოლო მამაკაცთ კი ცოლები აჰყავთ ისეთ ადგილას, სადაც ჯერ კიდევ წყალი არ მისდგომია; ერთი ხეზე აცოცებას სცდილობს, მეორე საცხოვრებელის გადარჩენას ლამობს, მესამე ნავს ეპოტინება, რათა თავი დააღწიოს წყლის ტალღას, მაგრამ მეოთხე ხელს უშლის და სხვა. სურათში, რომელიც მცურავ მეომრებს გამოჰხატავს, მიქელ ანჯელო არა ნაკლებ სიცხადის ალღოს იჩენს; მასში გამოხატულია ის მომენტი, როდესაც მდინარეში მობანავე მეომრებს საომრად იწვევენ: ერთი ციცაბო ნაპირზე მიცოცდება, მეორე ამხანავს ხელს უწვდის წყლიდან ამოსაყვანად, მესამე იდაყვ დაყრდნობილი მოიწევს ზევით, მეოთხე მიწაზე გაწოლილა უდარდელად და სხვა. ვიმეორებ, ამ სურათში ყოველივე სიცხადით არის გადმოცემული.

საზოგადოდ, მიქელ ანჯელოს სურათებში მცენარეების გამოსახვა ძლიერ იშვიათია; თუ ვენეციელი მხატვრები პეიზაჟს დიდს ყურადღებას აქცევდნენ, მიქელ ანჯელოს შემოქმედებაში მას ადგილი არა აქვს.

„ქვეყნის შექმნაში“ დახატული პირველ-ყოფილი გვიმრის მგზავსი მცენარე სიმბოლიური ნიშანი უნდა იყოს მცენარეთა წარმოშობისა, ისე როგორც კედლის პატარა ნანგრევი მთელი ქალაქისა და ხე კი—სამოთხისა.

ჩემს მოკლე წერილში მიქელ ანჯელოს შევეხე მხოლოდ როგორც მხატვარს, მისი სურათების გასაგებად კი მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ მიქელ ანჯელო არსებითად დიდებული მოქანდაკე იყო. იგი მთელს ქვეყანას ისე უცქეროდა, როგორც ნამდვილი პლასტიკოსი. ყველაზე უფრო ადვილად მიქელ ანჯელოს პიეტრა სანტაში წარმოვიდგენთ, სადაც იგი ღრმად ჩაფიქრებული მძლავრად წარუტაცნია ფიქრთა ნაკადს. მიქელ ანჯელო მაშინ ჰგრძნობდა თავს კარგად, როდესაც ხელში ჩაქუჩი და სათლელი ეჭირა; მხატვრობას მისთვის მეორე-ხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. მიქელ ანჯელოს ქანდაკებაშიაც, ისე როგორც მის მხატვრულ ნაწარმოებში, ნათლად გამოსჩანს სევდით მოცულ ცხოვრების დრამატიზმი; იგი თავის ქანდაკებებშიაც ისეთ ბუმბერაზებს გადმოგვცემს, როგორც სურათებში; მისი ქანდაკებანიც შემკობილნი არიან მტკიცე და მკაცრი ხასიათის გამომეტყველებით.

ვიმეორებ, მიქელ ანჯელოს ცხოვრებაში პირველი ადგილი ქანდაკებას ეჭირა, ხოლო ხელოვნება კი მას იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც იგი მას შეძლებას აძლევდა პლასტიკურ აზრთა თვალსაჩინოდ გადმოცემისა. საუბედუროდ დრო ნებას არ მაძლევს შევჩერდე მიქელ ანჯელოს, როგორც მხატვრის, დახასიათებაზე და მხოლოდ ნათქვამით დავკმაყოფილდებით.

მიქელ ანჯელომ მხატვრობას ჩამოაშორა სიმარტივე და ფერადებათა შეზავების სხივოსნობა. ამ დიდებული მხატვრის შემოქმედებას ღრმად ასვია ბეჭედი მისი სულიერი მდგომარეობისა. როდესაც მას ნაწარმოებს ახლოს ეცნობი, თქვენს წინაშე წამოიჭრება სახე თვით მიქელ ანჯელოსი თავის მშფოთარე და სევდით შეპყრობილი სულით.

როგორც ჩვენი „სულით ობოლი“ მგოსანი ნ. ბარათაშვილი, რომელშიაც „სულს ბოროტს“ ჩაუკლავს „ყმაწვილის ბრმა რწმენა“, ხშირად სევდითა და მწარე ფიქრებით მოცული „მრავალ დროების, მაგრამ უტყვის მტკვრის ბუტბუტს“ მიაშურებდა და „ლბილს მდელოზე სანუგეშოდ ინამებოდა ცრემლით“, ისე დიდებული მხატვარი შეუჩერებელ მუშაობაში სცდილობდა სულის მდრღნელ ფიქრთა განუწყვეტელ დენის შეწყვეტას.

დიდი განსხვავებაა მიქელ ანჯელოსა და ლეონარდო დევინჩის შორის, რომლის ცხოვრება აღსავსე იყო უმაღლესი ჰარმონიით, შემოქმედებათა შორის.

დიახ, მართალია ნ. ბარათაშვილი, როდესაც ამბობს: „მაგრამ ერთხელ დაოპლებული სული, მარად ითმენს უნუგეშობას კრული!!!“

მაგრამ რაც უფრო მწარე და კრული იყო დიდებული მხატვრის ცხოვრება, მით მეტის მოწიწებით იდრეკს მუხლს ყველა იტალიელი და მასთან ერთად მთელი კაცობრიობაც იტალიელთა სიამაყის საფლავის წინაშე.

**ალ. წერეთელი.**

უბინაოდ დარჩა. ამისთანა პურადობა-ბას ყველა იმ ქვეყნის გლეხკაცობა ეწევა, სადაც ქალაქურ ცხოვრებას თავისი გახრწნილება არ შეუტანია.

უაზრო პურადობა უსაქმო ხალხის ხელობაა. ის კაცი, რომელსაც სარჩოს საშოვარად ოფლი არ დაუღვრია, თავის დღეში ვერც დააფასებს ამ სარჩოს, იმ პურს, რომელიც მუქთად ერგო. იგი ქარის შემოტანილი ჰგონია და ამიტომ პირველ გამვლელ ქარს ადვილად გაატანს ხოლმე.

ეს ფიქრები დამებადა ამ ამბის წაკითხვის შემდეგ. გაზ. „თემში“ სწერია, რომ ერთმა უსაქმოდ მოხეტიალე გერმანელმა დაცინვით მოიხსენია ბერლინის გაზეთში ჩვენებური პურადობა მას შემდეგ, რაც თვითონ მას და მის ამხანაგებს ბრწყინვალედ გაუმასპინძლდნენ ჩვენში ხალხის უსაქმო ნაწილის წარმომადგენლები.

თვით მაგლითად ძროხის ბეჭი თავის თავად იგი საყურადღებოს არაფერს წარმოადგენს. მაგრამ ფიქრთა წყაროდ გადაიქცევა, როცა უსაქმო კაცი მას ხელთ იგდებს და უსაქმოდ მოხეტიალე სტუმრის საამოდ ლამაზად თლის. ძროხის ბეჭი მაშინ ამ ორ კაცთა შორის კავშირის სიმბოლოა. უყურებთ სტუმარ-მასპინძელს, ორივეს უცინის პირი; ორივე მხიარულადაა, სულითა და გულით ეძლევა ლხინსა და ქეიფს. ცვრიანი ბეჭი და კახური ღვინო! პირველად ყველა ეს მხიარული სტუმარ-მასპინძლის თითქო უბრალო დამატებად გეჩვენებათ. ისე შეჰხარიან ისინი ერთმანეთს, ისე საამოდ და გულიანად მღერიან და ქეიფობენ, რომ ძველ განუყრელ მეგობრებად წარმოგიდგებიან. თქვენ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ბეჭი აქ „არაფერ შუაშია“: ბეჭმა მხოლოდ თავისუფლად გამოიწვია ის მეგობრული გრძნობა, რომელიც უკვე წინად იყო...

აი დაშორდნენ ერთმანეთს უსაქმო სტუმარ-მასპინძელი. მაშინ კი ნამდვილად გამოცხადდება ძროხის ბეჭის დიადი მნიშვნელობა. გაყრის შემდეგ სტუმარ-მასპინძლის შორის სწორედ იმდენი კავშირია, რამდენიც ამ ბეჭსა და იმ ძროხის შორის, რომელსაც ეს ბეჭი მოაჭრეს. კავშირს ვინ სჩივის: რაღაც უცნაური მანქანების წყალობით ბეჭ-ნაჭამი უსაქმო სტუმარი ძროხის იმ უკანა ფეხად გადაიქცევა ხოლმე, რომლითაც ეს ცხოველი „იტლინკება“, მტერს წიხლს ესვრის.

მასპინძელს მოშორებული სტუმარი მწარე დაცინვით იხსენიებს პირველის პურადობას.

როგორ უნდა ავხსნათ ეს უცნაური მოვლენა?

კაცს პატივი სცეს, დიდის მოწიწებით ასვეს და აჭამეს და იგი, მადლობის მაგიერ, ლანძღავს და დასცინის თავის მასპინძელს და ამით ცხოველზე უფრო დაბლა დგას, რომელიც თავის დღეში არ დაწიხლავს იმას, ვინც საკვებს აწვდის.

შრომას მოწყვეტილი უსაქმო ადამიანი დედა-მიწას მოწყვეტილ მცენარეს ჰგავს, რომელიც ყვავილსა და კეთილ ნაყოფს ვერ მოისხამს.

ჩვენ უცქერით ლამაზად გულ-გადაშლილ ქორფა ვარდს და ვერ ვამჩნევთ, რომ იმისი შვენება იმ შრომის ნაყოფია, რომელიც ვარდის ბუჩქის ფესვებმა დედა-მიწის გულში გასწიეს.

სულიერი ცხოვრების ყვავილიც მხოლოდ იმ ხალხში იშლება, რომელიც ამ წუთი-სოფელში ოფლსა ღვრის, ფესვები დედა-მიწის გულში უდგია.

ილია ნაკაშიძე.

# ალბანეთის აჯანყება

## დეპეშები

3 ივნისი.

**სტამბოლი.** პორტა ეხლა მიხვდა, თუ რა განსხვავებაა რუსეთისა და ავსტრიის ნოტებს შორის. რუსეთს გულ-წრფელად უნდოდა, რომ ოსმალეთს მეზობლებთან მართლა მეგობრული განწყობილება ჰქონოდა, ავსტრია კი ოსმალეთისა და მისი ქვეშევრდომების ჩხუბში ჩაერია. „ფრემდებლატის“ განმარტებითი წერილი ვერ აბათილებს პირველ წერილს, რომელსაც ავსტრიის დიპლომატიამაც დაუჭირა მხარი და ოსმალებს ძალა დაატანეს აჯანყების ჩაქრობაზე ხელი აეღოთ, მაშინ, როდესაც საქმე კარგად მიდიოდა და ოსმალები იძულებულნი ახდნენ აჯანყებულებთან დროებითი მორიგება ჩამოეგდოთ, თითქოს ისინი ქვეშევრდომები კი არა ყოფილიყვნენ, არამედ უცხო სახელმწიფო. ამას მით უფრო ძნელად აპატიებს ოსმალეთი ავსტრიას, რომ ოსმალეთმა თვით გადასწყვიტა ალბანელებისათვის დაეთმო და რეფორმები შეეტანა. ეხლა კი, ყველაფერს ავსტრიას აწერენ. პორტამ ეხლა დაინახა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩერნოგორიასა და სერბიასთან მეგობრობას, რომელიც ავსტრიის drang nach osten-ის წინააღმდეგია. პორტა იტყობინება, ავსტრიის ელჩმა გარეშე საქმეთა მინისტრს უთხრა, ალბანელები თქვენ მოთხოვნილებას იარაღის აყრის შესახებ ვერ აასრულებენო. მინისტრი მაინც თავის აზრზეა.

სულთანი კოსოვოს მინდორზე სახალხოდ ლოცულობს. გარს ახვევია 400,000 (?) ჯარის-კაცი და 150,000 (?) ალბანელი. ეს დიდებული მანიფესტაცია ისლამისა საძირკველს უყრის ბალკანეთის პოლიტიკის ახალ ფაქტორსო—ალბანეთის მომავალ ავტონომიას.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 თიბათვე.

## საზღვარ-გარედ.

**ლისაბონი.** ხელ-ახლად გავრცელდა ხმები, რესპუბლიკის საწინააღმდეგო მოძრაობა დაიწყებაო. ამიტომ მთავრობამ ჩრდილოეთით ჯარი გაგზავნა.

**თეირანი.** საპყრობილე თეირანიდან გაიპარა და ევროპას გაემგზავრა. იგი უკმაყოფილოა, რომ მეჯლისმა რეგენტს ხარჯი შეუმოკლა.

**ტოკიო.** გაზეთები იაპონიის მთავრობის მოთხოვნილებებს მხარს უჭერენ და ამბობენ, რომ თუ კორიკებზე ნადირობა მოისპო, ბევრს აზარალებსო.

**პარიზი.** ჰავასის სიტყვით, ისპანიის პოლიციის პოლკოვნიკი სილვესტრი ფეცში მოსულა. სულთანი გაბრაზებულია, რომ ისპანიამ მაროკოში ჯარი გადაიყვანა და დიდ პროტესტს განაცხადებს.

პალატა მუშათა პენსიის შესახებ ფინანსთა მინისტრს კალიოს შეეკითხა; კალიომ სთქვა, მთავრობა კანონს არ შესცვლისო. ვიდრე იგი ამ კანონით ისარგებლებს, ჯერ მუშათა დაზღვევის პროექტს წარადგენს. პალატამ მთავრობას ნდობა გამოუცხადა.

## რ უ ს ე თ ი.

**თემირ-ხან-შურა.** ორ რეალისტს, რომელთაც 1910 წ. რომანტიულ ნიადაგზე ამხანაგი მოჰკლეს, კატორგა მიუსაჯეს.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ ვაჭრობის მინისტრის პროექტი მოიწონა. პროექტის ძალით ვაჭრობის სამინისტროს უმაღლეს სასწავლებლებისათვის ახალი ნორმები მტკიცდება. პეტერბურგის და კიევის პოლიტეხნიკუმსა და სამთო ინსტიტუტში მოსწავლეთა რიცხვი უნდა იყოს 5000, 2500 და 1000 კაცი. სწავლის უდიდესი ვადა 7 წელიწადია. სწავლის ფულიდან მხოლოდ იმათ გაანთავისუფლებენ, ვინც უკეთესად ისწავლის.

მინისტრთა საბჭომ დაადგინა, კავკასიის უღელტეხილისა და შავის ზღვის რკინის გზების შესახებ მოსალაპარაკებლად უცხოელი სპეციალისტები მოიწვიოს.

ახლო მომავალში მინისტრთა საბჭო მოისმენს საუწყებათაშორისო კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტს, რომლის ძალითაც სასწავლებლებში სამხედრო წესიერი სწავლება უნდა იქმნეს შემოღებული. პროექტის მიხედვით, ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებელში უნდა იქმნეს ეს წესი შემოღებული. მოსწავლეთ უნდა უნერგავდნენ სარწმუნოებრივ გრძნობას, მეფისა და მამულისადმი სიყვარულს, კანონიერება-წესიერებას და სხვა ამგვარებს.


# განცხადებანი

## დოქტ. ნაკაშიძისა

უძველესი ღია, კვირებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნაკაშიძე: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ა. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუღიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. აველიხანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. მუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. აგახაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ხ. ზილბერმანი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. შ. გევეხკაია-ენგელი: 6—6½ ს საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. ვარცინევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნაკაშიძე.

(წ. (1168—52)

მუხრანის ხიდთან

# სამკურნალო

გ ა ი ხ ს ნ ა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებს.

ატენიანცი ნ. ა. ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

ნ. მ. ახპაზოვი—(მედ. ექ.), ყურის, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

გ. ა. მელკონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.) 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—84)

# ქირავდება

ახლად გადაკეთებული ს ა რ დ ა ფ ი, ასვალტ დაგებულ იატაკით. გამოდგება სარესტორანოდ და აგრეთვე საქონლის საწყობად.

რეუტოვისა და ჩერქეზიშვილის (წინედ ავჭალის ქუჩად წოდებულს) ქუჩების ქიმში, სახ. № 20.

(2—632—2)

# „სამპსონინი“

თმებისათვის

საპონი ექ. დიდიძისა

იყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე).

(წლ.—1152—69)

◀ მშობიარეთათვის ▶

# თავშესაფარი

ბებია-ქალის

# თუხარელისა.

ოლგას ქ., ზაბებიო ინსტიტ. პირდაპირ

მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—1083—48)

ქ. თ ე ლ ა ვ შ ი

ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

# ჭრა-კერვის

● წ ი გ ნ ი ●

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით.

ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

სოფიო ი. სიმონოვის მიერ.

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Щкола кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—43)

სუსუნატის წინააღმდეგ

ახალი წამალი

# „SALO-პირილინი“

ხშრაფად და ხაფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით კონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძვს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა, 1 მან. და 80 კ.

აგრეთვე კარგად მოქმედობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ. Разъѣзжая N 7, Аптека В. Конгейма.

ფას-დადებით იგზავნება. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე საზოგადოებაში იშოვება. Метцль. 12429. (45—1014—17)

გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს ქალ-ვაჟს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის

პირობებით:

სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, ეპარქიულ სასწავლებლისთვის, ტეხნიკურ, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე პოლივალნი ინსტიტუტისა, მიიღებს პირობ-ზამინოკიანებსაც.

ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე.—ყველა კლასის ჩინზე. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებს.

მეცადინეობა იქნება სამ ალაგას: ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, ვაგზალზე და ვერაზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი უცხო ენებისა... მეცადინეობა დაიწყება დილის 8 ს-დან საღამოს 8 საათამდე. დროებით მასწავლებელთან მოლაპარაკება შეიძლება თავისუფლად 2-საათ. დღით 6 საათამდე. მსურველ! შეუძლიან ინახულოს სხვა დროსაც...

დროებითი ადრესი: Черкезовская ул. (быв. Авчальск.) д. № 133. кв. 4. протовъ вакзала въ Нахаловкѣ. „მესამეალი უმთავრეს კარებიდან“.

(თ.—1084—12)

იყიდება ყველგან — იყიდება ყველგან

# საუკეთესო ღირსების

და ნადული წყლისაგან დამზადებული

# პურის კვასი

# „ბემო“

კვასი „ბ ე მ ო“ იყიდება ყველგან. ბოთლი 10 კაპ., ნახევარ ბოთლი 5 კაპ. პირდაპირ ქარხნიდან წამღებ მუდმივ მხმარებელს მიეცემა ყინულში გაციებული და ფას დაკლებით. ქარხანა იმყოფება: ვერაზე, ბელინსკის ქ. № 13, სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს მახლობლად.

(15—1281—9)

გამოვიდა ალ. შანშიაშვილის ახალი დრამატიული პოემა

# „შვების თავადი“

ფასი 60 კაპ. გამოცემა მ. ნემსაძისა.

„სახალხო გაზეთის“ ხელის მომწერთ, რომელნიც წიგნს მოიკითხავენ გაზეთის კანტორაში, დაეთმობათ 40 კ. ქალაქ-გარეშე ხელის მომწერლებმა ფოსტის ხარჯად უნდა გამოგზავნონ 10 კ. წიგნი იყიდება: ტფილისში წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში და თვით გამომცემელთან (დიდი ვანქის ქ. № 12).

(10—1308—8)

ორ მილიონ ბანკაზე მეტია გაყიდული.

# სინორჩესა და სილამაზეს

აძლევს

# ყოველ ქალის სახეს

კრემი

# კ ა ზ ი მ ი

მეტამორფოზა




სრულებით სპობს ფერიმჭამელას, მზის ნამწვს, სახის ლაქას, ნაოჭებს, ჭორფლსა და სახის სხვა ნაკლს. Мотцль. 40721. (4—1214—4)



ალექსანდრე

# თაბაგრის

მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

# საკერავი და საქსოვი მაშინები,

ქუთაისი ალექსანდროვის ქ.

გრამოფონები და ველოსიპედები

და მათი მოწყობილება დამზადებულია საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებში, რის სიკარგეშიც ვიძლევი გარანტიას. ფასები საქარხნოა (ზომიერია), როგორც ნაღდზედ, აგრეთვე ნისიათ. (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მაშინებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ“, რომელიც უტყუარია და მყიდველებიდგანაც მაქვს მადლობის წერილები. მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფ რის კარგად და ზომიერ ფასებში. გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირა.

ფოსტის ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

(50—1072—25)



# საკერავი მაშინა

ზინგერის კომპანიისა

ნისიით

მხოლოდ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში

ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით

ხელის მაშინები ფასად

1 მანეთიდან 25 მანეთამდე




მაღაზიის ნიშანი.

უფასოდ სწავლება — მაღაზიები ყველა ქალაქებში

(წ.—1062—28)

# ხ. გ ლ ა ზ ე რ ი

(დვორის-მდინარის ქ. № 4, ძველ სემინარიის შენობის პირდაპირ).

# ევროპიული სამრეცხველო, ლაქის ამომყვანი და სამღებრო

ხელ-ახლად გადაკეთებულია ტეხნიკისა და ჰიგიენის უკანასკნელ მოთხოვნილების თანახმად. საქმეებს შეუჩერებლივ ვიკეთებთ. საქმეები სრულდება სპეციალისტ-ოსტატთა მეთვალყურეობით. ყველაფერი კეთდება სწრაფად და შეუდარებლად.

◀ არის განყოფილება ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ▶

ფასები ხელმისაწდომია. (55—1306—5)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

# სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

# ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

# ახალ-ახალი

# ოსეტრინა (ზუთ-ხი) და სევრიუგა (ტარა-ღანა),

# ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პ ა რ კ ი ს ა და კ ო ლ ო ფ ე ბ ი თ

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაიხუნი ხიზილალა

გირვანქა 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

აგრე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1063—)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა — საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა


სტამბა „ხორავანი“, მადათოვის კუნძული.

რ-გამომცემელი ნ. ჟორდანიშვილი.